მაგისტრანტის სასწავლო კომპონენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო სასწავლო კურსების დიდ უმრავლესობაში დასკვნითი გამოცდა 40ქულიანია. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი წერითთან ერთად, შეიძლება, ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც მის მიერ მიღებული შუალედური შეფასებებითა და სემესტრული აქტივობებით ჯამურად 21 ქულა აქვს დაგროვილი.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

91 -100 – ფრიადი, A;

81-90 –ძალიან კარგი, B;

71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D;

51-60–საკმარისი, E;

41-50– ვერ ჩააბარა, FX;

0-40 – ჩაიჭრა, F.

სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მის დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავისი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმში ჩართული სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკული მუშაობა ითვალისწინებს ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ ლექტორის მიერ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპური შეცდომების განხილვას. შუალედური შეფასებების და ფინალური გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები.